



მეწყერი - ფერდობებზე დამატული საფრთხე

მოამზადა მაია ბლიაძემ

რა არის მეწყერი?

მეწყერი, სიმძიმის ძალის გავლენით, ნიადაგის ან ქანის მოწყვეტა და მისი სწრაფი გადაადგილებაა ფერდობის დახრილობის მიმართულებით.

მეწყერი რელიეფის გრავიტაციული ფორმაა.

მეწყერის მიზეზი მიწის მასების წონასწორობის რღვევაა გრავიტაციულ და შეჭიდულობის ძალებს შორის, რასაც ფერდობის ძირის გამორეცხვა, გამოფიტვა ან უხვი ნალექების გამო ქანების სიმტკიცის შესუსტება განაპირობებს.



რა იწვევს მეწყერს?

1 ბუნებრივი ფაქტორები

- ძლიერი წვიმები
- ბუნებრივი კატასტროფები - მიწისძვრა და ვულკანური აქტივობა



2 ადამიანის საქმიანობა

- ტყეების გაჩეხა
- მშენებლობა
- წყლის ნაკადის მიმართულების შეცვლა





სად ხდება მეწყერი?

მეწყერები ხდება ხეობების ან მდინარის ნაპირების ფერდობებზე, მთებში, ზღვების ნაპირებზე და ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზეც კი.

ყველაზე ხშირად მეწყერი ისეთ ფერდობებზე წარმოიქმნება, რომლებიც ფხვიერი და წყალგამძლე ქანების მონაცვლეობითაა აგებული.

მეწყერის მოძრაობის სიჩქარე განსხვავებულია და იგი შეიძლება იყოს როგორც რამდენიმე მ/წელიწადში, ისე მ/წამში.




რა შედეგები მოჰყვება მეწყერს?

მეწყერმა შეიძლება
გამოიწვიოს
საცხოვრებელი და
საწარმოო შენობების,
საინჟინრო და საგზაო
ნაგებობების,
მაგისტრალური
მილსადენებისა და
ელექტროგადამცემი
ხაზების დაზიანება-
ნგრევა, ასევე,
ადამიანების დაშავება
და დაღუპვა.



მეწყერსაშიში ზონები საქართველოში



მეწყრული მოვლენები საქართველოში

- საქართველოში დღეისათვის 50 ათასამდე მეწყრული სხეულია რეგისტრირებული.
- მათი საშიშროების ზონაში 2 ათასამდე დასახლებული პუნქტი მდებარეობს 200 ათასზე მეტი მცხოვრებით.
- მეწყრით დაზიანებული მიწების საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰა-ს აღემატება.
- ბოლო ათწლეულების სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ყოველწლიურად მეწყრის 15-20 შემთხვევა ფიქსირდება.



მეწყრის თავიდან აცილების გზები

გეოტექნიკური მეთოდები

გასამაგრებელი კონსტრუქციებისა და სადრენაჟე სისტემების მშენებლობა




ლანდშაფტური ზომები

ტყეების აღდგენა, მწვანე ზოლების შექმნა და ფერდობების დატერასება




მეწყრის პროგნოზირების სისტემები

ფერდობის დახრილობის მონიტორინგი




სენსორების გამოყენება ფერდობებზე ცვლილებების მონიტორინგისთვის.

რადარების ტექნოლოგია



რადიოლოკაციური მონაცემების გამოყენება მიწის დაცობების ნიშნების გამოსავლენად.

ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებები



ნალექების ინტენსივობისა და მიწისქვეშა წყლების დონის მონიტორინგი.

სტრუქტურული და საპროექტო მახასიათებლები მეწყერსაშიში უბნებისთვის

ფუნდამენტის
გამაგრება


სპეციალიზებული
ფუნდამენტების
გამოყენება
გეოლოგიური პირობების
გათვალისწინებით

საინჟინრო დაცვა

ჰიდროსაიზოლაციო,
სამრეწველო და სხვა
სახის დამცავი
კონსტრუქციების
გამოყენება

პროფესიული და
საექსპერტო შეფასება

სავალდებულო
გეოტექნიკური
ანალიზი და
საინჟინრო კვლევები



საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ევაკუაციის პროცედურები



მოსახლეობის სწავლება

ოპერატიული რეაგირება

ევაკუაციის დროს


სიმულაციებისა და
ტრენინგების ჩატარება
ევაკუაციისათვის
მოსამზადებლად

საგანგებო
სიგნალიზაციისა და
ევაკუაციის გეგმების
დაუყოვნებლივ
გააქტიურება

საევაკუაციო ჯგუფების
ფორმირება და მომზადება
ოპერატიული ევაკუაციის
ჩასატარებლად

რა მიგვანიშნებს მეწყრის დაწყებაზე?

- შენობების კარებებისა და ფანჯრების გაჭედვა;
- გზებზე ბზარებისა და ნაპრალების გაჩენა;
- მეწყერსაშიშ ფერდობებზე წყლის ჟონვა.



რას ვაკეთებთ?

მეწყრის მომასწავებელი
ნიშნების გაჩენისას დარეკეთ
112-ში ან შეატყობინეთ
მეწყერსაწინააღმდეგო
სადგურის უახლოეს
საგუშაგოს;

დაელოდეთ ამ სადგურიდან
ინფორმაციას, ხოლო თავად
ვითარების მიხედვით
იმოქმედეთ, შესაბამისი
წესების გათვალისწინებით.



როგორ მოვიცეთ მეწყრის დროს?

- გამორთეთ ელექტრომოწყობილობა, გაზის ტექნიკა და დაკეთეთ წყალი;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მეწყრის გადაადგილების სიჩქარიდან გამომდინარე, იმოქმედეთ საფრთხის მიხედვით და დაიწყეთ მზადება ევაკუაციისთვის.
- გადაადგილების დაბალი მაჩვენებლის დროს (თვეში მეტრი) იმოქმედეთ თქვენი შესაძლებლობების მიხედვით (შენობებიდან გამოიტანეთ ავეჯი, ნივთები და ა.შ.). თუ მეწყრის გადაადგილების სიჩქარე დღეში 0,5-1,0 მ-ზე მეტია, ევაკუაცია უნდა მოხდეს წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.



როგორ მოვიქცეთ მეწყრის დროს?

- ევაკუაციისას თან წაიღეთ დოკუმენტები, ძვირფასი ნივთები, თბილი ტანსაცმელი და საკვები;
- ვითარების და ადმინისტრაციის მითითებების მიხედვით, სასწრაფოდ გადადით უსაფრთხო ადგილზე;
- საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მაშველებს თხრაში, ნგრევის შედეგად დაზარალებულთა გამოყვანაში და მათთვის პირველადი დახმარების გაწევაში.





ძირითადი რეკომენდაციები

1

გეოტექნიკური კვლევების მნიშვნელობა

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გეოლოგიური და გეოტექნიკური პარამეტრების ანალიზს.

2

დაცვითი ზომების კოორდინაცია

მნიშვნელოვანია ყველა სტრუქტურის ქმედებების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა მეწყრების პრევენციის პროცესში.

3

საზოგადოების განათლება და მომზადება

აუცილებელია მოსახლეობის რეგულარული ინფორმირება მეწყერსაშიშროების შესაძლო რისკებისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ.

დამატებითი რესურსი - ვიდეოფილმები

გაიგე მეტი მეწყრის
შესახებ? -



მეწყერი -

